




## აკაკის

გულსევდიანი ჩამოჰკრავ სიმებს,
სიმღერას გეტყვი მწარე გლოვისას,
ჩემი სიცოცხლის მზე დაგიტირებს,
ცრემლებს დაგაფრქვევ ობოლ სულისას.

თუმცა გვშორდები, ტოვებ ტკბილ მამულს
ჩვენი ბედ-იღბლის სწორად მღერალო
მაგრამ კურთხევა მაგ შენ წმიდა სულს
დაუვიწყარო დიდო მწერალო!

დადგება ჟამი: ხალხი ტანჯული,
შევა სამოთხის ტურფა მდელოში
და შენი ძეგლი ზე-აღმართული,
ძლევით იბრწყინვებს საქართველოში!..

**დარია ახვლედიანის**

## საქართველოს მზეს

და შენც გვშორდები... შენც ესალმები
სატრფო-სამშობლოს, ცრემლ-შეუწყვეტელს
შენც ესვენები, შენც ეფარები
წიაღს უსაზღვროს და განუჭვრეტელს...

დეე, შენ შემდეგ შენი ქვეყანა
მწუხრის მანდილით გადაითალხოს
და ეს ამბავი, ეს გლოვის ზარი
ამირან გმირმა მთებს გადასძახოს...

# აკაკის ხუმარი-ა
## № 5 შინაარსი:


1. **მეთაური**—მამულიშვილობის მოციქული 1
2. **კომიტეტი**—ქართველ ერისადმი „
3. **შ. ქ. ყიფიანი**—აკაკი გარდაიცვალა 2
4. **ი. გედევანიშვილი**—შორს გოდება! „
5 **აკაკი**—გულის პასუხი (ლექსი, საკუთარი ხელთნაწერი) 3
6. **იოსებ არიმათიელი**—ა) ვინ იყო აკაკი „
   ბ) რა ვითარებაში მოუხდა აკაკის მოღვაწეობის დაწყება? „
   გ) როდის დაიწყო ლექსების წერა და რა იმოღვაწა? „
   დ) როგორი მგოსანია? ?
   ე) რა დასწერა? 5

**როგორ ახასიათებენ აკაკის ჩვენი მეცნიერ-კრიტიკოსები:**

7. **პროფ. ალ. ცაგარელი**—აკაკი ერთობის მოციქულია „
8. **იაკობ გოგებაშვილი**—აკაკი საქართველოა 6
9. **პროფ. ალ. ხახანაშვილი**—აკაკი—მსოფლიო სევდის მომთქმელია „
10. **კრიტ. ივ. გომართელი**—აკაკი უკვდავია და ქართველთა სიამაყე „
11. **კრიტ. კიტა აბაშიძე**—აკაკი—ერის მესაიდუმლე და მოზარეა „
12. **კრიტ. ხომლელი**—აკაკი—ლირიკოსი და პროზაიკი 6
   ვ) როგორ დააფასა მშობელმა ერმა? „
   ზ) იცნობენ თუ არა უცხონი?
12, **აკაკის ლექსები:** ა) ჩემი რწმენა (უკანასკნელი, დაუბეჭდავი) 8
   ბ) განთიადი—„მთა-წმიდა ჩაფიქრებულა“ 10
   გ) სულიკო 11
13, **აკაკის მოთხრობა**—ა) სიკვდილი “
   ბ) ანდერძი (მოთხრობაში) 13
14, **სოფ. მგალობლიშვილი** - ჩვენთან არს აკაკი! 14
15, **აკაკის გარდაცვალების გამო** 15
16, დარია ახვლედიანი—აკაკის
17, **გ. ქუჩიშვილი**—საქართველოს მზეს (კანზე)
18 **სურათები:** ა) ბოლო დროისა;
   ბ) აკაკი ბავშვთა შორის;
   გ) აკაკი 20 წლის წინად;
   დ) აკაკი ერთი ღამე მეტეხში (სურათი)


---

კვირას 1 თებერვალს, დილის 12 ს., ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში
**დანიშნულია საქართველოს დიდებული მგოსნის**

# ა კ ა კ ი ს

**სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, რასაც დიდის გლოვითა და მწუხარე-**
ბით საყოველთაოდ აუწყებს ყველა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ
დაწესებულებათა მიერ არჩეული საგანგებო კომიტეტი.

---

„სახალხო ფურცელი“, „ახალი აზრი“, „შადრევანი“, „თემი“, „კლდე“,
„თეატრი და ცხოვრება“, „განათლება“, „ნაკადული“ და „ჯეჯილი“
**აუწყებენ საზოგადოებას**

# ა კ ა კ ი ს

**გარდაცვალებას**

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 5

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 5 | კვირა 1 თებერვალი | 1915 წ.


## 1 თებერვალი

**მამულიშვილობის მოციქული**

ბუნებამ თავისი აინაზღაურა...

დიდი შოთას სწორუპოვარი მემკვიდრის ბაგენი დადუმდნენ...

ვეღარ ვსჭვრეტთ შუქურა **აკაკის**, ჩვენის ერის სულისკვეთებათა მესაიდუმლესა და სიამაყეს... ვეღარ ვსჭვრეტთ, მაგრამ იგი ჩვენშია, იგი—ჩვენა ვართ—სრულიად გათვითცნობიერებული საქართველო...

სად, სად არის ისეთი ქართველი, **აკაკის** სახელი რომ არ გაეგონოს, არ დამტკბარიყოს მისი ზექვეყნიური ლექსებით, ტკბილ ჰანგით?!.

მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა წარმოშობა იგი და მანც, ვითარცა ღირსეულმა შვილმა, მიწიერთა შორის რჩეულმა, ღვთიური სიმღერებით გამოჰხატა მშობელი ერის ტანჯვა, ვაება, იმედი, სასოება და ღრმად გულში ჩაგვინერგა, შეუდრეკელ რწმენად შთაგვაგონა, რომ ჩვენი სამშობლო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს!..“

არა, არ მომკვდარა და არც მოკვდება **აკაკის** მშობელი ერი!..

იგი მამულიშვილობის მოციქული არა თუ იყო, არამედ არის და იქნება კიდეც...

იგი მარადის ერთობის მქადაგებელი იყო და აკი ამიტომაც შეიქმნა საქართველოს გული...

სამოც წელზე მეტს ემსახურებოდა ღვთის ბოძებულ ჩანგით მშობელ ერს და მარადის „გმირებს ეძებდა მისი დაფი და ნაღარა!“

მგოსანმა მიაღწია მიზანს: **აკაკის** ნაკარნახევი სამშობლოს გმირებს გაუზრდის...

იგი უპ-რველეს ყოვლისა არა თუ ლექსთა მთხზველი, არამედ უდიდესი მოქალაქე—მასწავლებელი იყო და საკუთარ გრძნობის გამოხატვაშიაც-კი მთელი ერი ხალხის გრძნობა-მისწრაფებათ ჰხატავდა...

და ასეთი მღერალი-მოციქული არასოდეს მოკვდება... იგი საუკუნოდ ერს-ხალხს ეყოლება გულს ჩახუტებული, ვითარცა წმიდათა-წმიდა, მხსნელი და ბნელი გზის მანათობელი...

და ვიდრე მსოფლიოს ერთ ციდა მიწაზე მაინც ქართული ენა იმეტყველებს და ქართველი ისუნთქებს, აკაკის ხსენება-სახელიც უკვდავი იქნება,—ვითარცა მამულიშვილობის მოციქულისა, ერის განთავისუფლებისათვის მომღერალისა და ძილში მყოფთა გამფხიზლებლისა...

ეკლიანი იყო გზა მისი, ამიერ სოფლად ცხოვრებისა, მაგრამ მის ნაკვალევს მომავალი ვარდ-ყვავილებით მოჰფენს...

## ქართველ ერისადმი

**1915 წ. 26 იანვრის დამდეგს ღამის პირველ საათზე საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე—აკაკი როს. წერეთელი გარდაიცვალა. მისი მალმერთებელი სამშობლო საყოველთაო გლოვის ნისლმა დაჰბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეხმაურება თავის წუხილის შეუდარებელი გამომსახველის სიკვდილს, ერის წმინდა ზრახვების გრძნეული მომღერლის დაკარგვას.**

**მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობათ გადაქცეული თვალცრემლიანი და გულჩათხრობილი შემოკრბება აკაკის ღძვირფასი ცხედრის თაყვანისაცემლად. წმინდა ნეშტს ჩააბარებს ჩაფიქრებულ თაწმინდის ისტორიულ აკლდამას, ხოლო მისი უკვდავი სულის წინაშე საუკუნო ფიცს დასდებს, რომ არ უღალატებს დიდებული მგოსნის მიერ ნაანდერძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდეალებს.**

**კომიტეტი**

# აკაკი გარდაიცვალა

მგოსანო, დიდებული იყავ და დიდებული მახსოვრობელი ანდერძიც დასტოვე. ანდერძი არა ნივთიერი, არამედ, როგორც შენ შეგეფეროდა, სულიერი — შენი უკვდავი ნაწერები, და ბოლოს — **„სავსებით შეკრება ხალხის ზეპირ-გადმოცემათა.“** საქართველოს სული, მისი ისტორია, ქართველი ერის დაუჯერებელი ტვირთ-მძიმე ტანჯვაწამებულობა აუარებელ საუკუნეთა შორის, მისი ტანჯვათაშორისი „ვაშა“ აღორძინებისა — თამარის დრო — ისურათ-ხატდება, შენის შეურყევლის რწმენით, შენისავე ერის უკვდავ სულში. ეს სული იყო მასაზრდოებელი, განმწმედელი, განმბანელი, და ფაქიზი სარბიელო შენის მოსიყვარულე მუზისა. შენი პოეზია არის უმშვენიერესი პოეზია ქართველი ერისა, რომლის სულს არას დროს არ დაშორებიხარ. მთლიანად ქართველი ერის სულის მოქანდაკე იყავი უოველთვის მისი დიდებული შვილი, უოველ ჟამს მოწიწებით მისი ამხორ-მეოფელი. რაა, რომ ზოგჯერ კიდეც შემოსწყრომიხარ შენს საყვარელს დედას, სწრაფად გაგიფიქრია განშორებაც კი, — გიყვარდათ ერთმანეთი დიადის სიყვარულითა, და კარგად იცოდი, არსებითაც ჰგრძნობდი, რომ ჰშობილხარ და აღზრდილხარ შენის ერის სულის სიტფოში, იცოდი ამასთანავე, რომ ხორციელ მომაკვდავი ხარ, მაგრამ გჯეროდა, რომ შენი მკვიდრი სავანე იყო მხოლოდ ქართველი ერის სულში, ერის უკვდავების სიღრმეში, და აბა რაგვარ მოჰშორდებოდი მას და ასედადაც დარჩა უკუნისამდე თქვენი ერთობა დაუსაბამო სიყვარულითა.

უკეთუ რომელსამე ერს ჰყოლია ღვიძლი შვილი და მგოსანი, მაშ შენა ხარ და იქნები სამუდამოდ წმინდა ეროვნული დიდი მგოსანი შემოკრებულ ქართველებისა და იქნები ასედად, ვიდრე შენი ერი ეროვნებს, მისი თქმა იქმუნებლობს და მშვენიერი აღმაფრენა სიმართლისა და უფლებისადმი არ დაჰშრეტია მას.

ჭეშმარიტად შენა ხარ სრულიად საქართველოს უკვდავების ერთ-სული და ერთგული აღმსარებელი შვილი. ჩემი სამგლოვიარო გვირგვინების სადირელი სრულიად-საქართველოს ზეპირ თქმულებათა შემოკრებას მოახმარეთო? — განა უკეთესი ანდერძის დატოვება კიდევ შეგეძლო, მგოსანო?!

შენი ერის სულის აღმსარებელი იყავ და ზღვა სულის, მის ზეპირ თქმათა სავსებით შემოკრება სთხოვე შენს ქვეყანას უკანასკნელად. ვინ გეტყვის უარს? — აღვისრულებენ!

მუხლმოდრეკით თაყვანს გცემ შენს ცხედარს, ჩვენო მცხოვანო მგოსანო, მე მცირედი შენი მოძმე.

მ. ქ. უიფიანი

# შორს გოდება!..

შორს გოდება, შორს ტირილი! არაჩვეულებრივ ადამიანს არ დასტირიან, რადგანაც იგი უკვდავია. მხიარული სევდა!.. უცნაურია?.. სევდა, რადგანაც ვკარგავთ ჩვენს მამას, ჩვენს ამღზრდელს და მხიარულობა, დღესასწაული, რადგან ჩვენს ღვთაებას, ჩვენ წმიდათა-წმიდას ვაცილებთ და ვაბარებთ მარადისობას. იგი უკვდავი ხდება და ჩვენც მასთან უკვდავებას ვეზიარებით.. მისი სული წმიდა ნაწილებათ დანაწილებული ყველა ჩვენგანშია. მისი ბრწყინვალე სხივები ჩვენსკენ არიან გადმოტყორცნილი. მას მადლით ჩვენცა ვბრწყინავთ!.. შორს ტირილი, იგი აკაკის არ ეკადრება!

განა გვშორდება აკაკი?.. იგი მხოლოდ მაღლდება, რათა მაღლიდან უფრო ბევრს ჩვენგანს ივისი ბრწყინვალე შუქი ადვილად მოჰფინოს

შორს გოდება! არ მომკვდარა, არცა სძინავს... იგი სცოცხლობს და იცოცხლებს მარადისად, შეუწყვეტლივ!

შორს ტირილი, შორს გოდება!



† აკაკი

**აკაკი როსტომის ძე წერეთელი**

(1840-1915)



# აკაკი

## ვინ იყო აკაკი?

ჩვენი დიდებული საერო მგოსანი, ხალხურ მგოსნობის მამათმთავარი აკაკი დაიბადა დ. საჩხერეს, შორაპნის მაზ, ქუთაისის გუბ. 1840 წ. თიბათვის 9. მამა მისი როსტომ წერეთელი იმერეთის წარჩინებული მებატონეთაგანი იყო, დედა—სვიმონ მეფის ასულის დარეჯან ბატონიშვილის შვილი, გურიის მთავრის მამია გურიელის დისწული, დიდი ივანე აბაშიძის ასული ეკატერინე, ქართული მწიგნობრობით აღზრდილი, შესანიშნავი განვითარებული მანდილოსანი. მაშინდელი ჩვეულებისამებრ, პატარა კაკო გააბარეს საჩხერის მახლობლად ს. სავანეში, გლეხის ოჯახში. აქ ერთი გლეხი დედაკაცის ძუძუს სწოვდა. ხუთ-ექვს წლამდე თავის ძიძა მაროსთან (ყანჩაველის მეუღლესთან) ცხოვრობდა და იმნაირადვე ერთობდა, როგორც მისი ტოლი სოფლის გლეხის ბიჭები. 6 წლისას ოჯახში დააწყებინეს სამშობლო ენის წერა-კითხვა. ამავე დროს ბუნებით ნიჭიერი ბალღი დიდის ცნობისმოყვარეობით ისმენდა ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებსა თუ უფროსთაგან წაკითხულ „ვეფხის ტყაოსანს“. სკოლაში შესვლამდე ქართულ წერა-კითხვაში გაწაფული იყო. აკაკის ჯერ ბერად ამზადებდენ და მოკლე დროს განმ ვლობაში საღმრთო წერილი დაასრულებინეს. ამ გვარად აკაკი სამშობლო ნიადაგზე აღიზარდა და ამ ნიადაგის საზრდოთი გაიფურჩქნა. 8-10 წლისა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც კურსის გათავებას ოთხი თვე უკლდა, რომ გიმნაზიას თავი გაანება, პეტროგრადს გაემგზავრა და იქ სამხედრო სამსახურში აპირებდა შესვლას, მაგრამ ამხანაგთა რჩევით უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე და იმავე დროს სხვა ფაკულტეტების გამოჩენილ პროფესორითა ლექციებსაც ისმენდა. რუსეთში ყოფნის დროს ცოლად შეირთო რუსის ქალი, რომელთანაც შეეძინა ერთი ვაჟი—ალექსი. 1862 წ. უნივერსიტეტიდან გამოვი-

და, სამშობლოში დაბრუნდა, კერძო სამსახურს საქიეყნო ასპარეზი არჩია და მას შემდეგ სამშობლო ქვეყნის სასიკეთო მოღვაწეობის უღელს მხნედ ეწეოდა.

## რა ვითარებაში მოუხდა აკაკის მოღვაწეობის დაწყება?

მესამოცე წლების რუსეთის მოძრაობამ ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ პევრს ჩვენს მოღვაწე-მწერალს გაუფხიზლა აზრი. იმ ხანად ძილში მყოფი ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო: მწერლობაში ძველებური კილო ბატონობდა, ეგრეწოდებულ მოწინავე-მოაზრე „საზოგადოებაში" მხოლოდ წარსულის მოგონებით ოხვრა-გოდება, წარჩინებულ წოდებაში — ვიწრო წოდებრივი სარგებლობიანობისადმი მისწრაფება, ჩინ-ორდენების ძიება, გლეხკაცობაში — მონობა, სრული სიბნელე, ბატონ-ყმური უღლით განმტკიცებული, ურთიერთობაში — განკერძოება, კუთხურ-თემობრივი განთვითება ასეთ დროს გამოდგეს ფეხი მესამოცე წლების ახალგაზრდა მოღვაწეებმა, ააფრიალეს ეროვნული დროშა და ცხოვრების მთავარ მიზნად ძილში მყოფ საქართველოს გამოფხიზლება, მთელის ერის გაერთიანება დაისახეს. ამ ახალგაზრდობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელია სრულიად საქართველოს სიამაყე აკაკი.

## როდის დაიწყო ლექსების წერა და რა იმოღვაწა?

აკაკიმ ლექსების წერა ძლიერ ადრე დაიწყო, გიმნაზიაში სწავლის დროს. პირველი ლექსი „კანდელი" ცამეტის წლისამ დასწერა, გარნა აშკარად სამწერლო ასპარეზზე სტუდენტობის დროს გამოვიდა 1858 წ. ჟურ. „ცისკარში" და ამ დროიდან სამარის კარამდე კალამი აღარ გაუგდია ხელიდან. მწერლობის გარდა ბევრს ჩვენ საზოგადოსაკულტურო საქმეში მონაწილეობდ: სამოციან წლებში სცენისმოყვარეთაგან შემდგარი დასით წარმოდგენებს მართავდა ქუთაისში, 80-იან წლებში ქართული დრამ. დასით მოვლო ამერ-იმერეთი, მას შემდეგ დასის გამგე-რეჟისორი იყო (იმ ხანებში რამდენიმე პიესაც დასწერა). 90-იან წლებში აღმოაჩინა ჭიათურის შავი ქვა, რაიც ჩვენის ქვეყნის დამაწინაურებლად შეიქმნა, 1897 წლიდან გამოსცა თვიური „კრებული", რომელშიაც უმეტესად საკუთარ ნაწარმოებთ და ზეპირსიტყვაობას ათავსებდა, რითაც საფუძველი დაუდო ხალხურ შემოქმედების შეკრებას. გარნა უკვდავი სახელი და ერის დიდება მოიხვეჭა ვითარცა ზენაარი მადლით ცხებულმა მგოსანმა, განსაკუთრებით კი — როგორც ლირიკული ლექსების მწერალმა.

## როგორი მგოსანია?

აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდე შეუწყვეტელი მოთქმაა, საერო კვნესით აღვსილი, პირდაპირი და შეუდრეკელი მბასრავი, მთელი ქართველი ერის სულისკვეთების, ფიქრის, გრძნობის და მისწრაფების გამომხატველი იმდენად მკაფიოდ, რომ ყოველი მკითხველი, რა წრისა და მდგომარეობისაც უნდა იყოს, იმავე გრძნობა-ფიქრებით იმსჭვალება. როგორც ჭეშმარიტ მგოსანს შეჰფერის, აკაკი ხან „ზეცისაა ხან მიწის" და ერთნაირის აღფრთოვანება-აღგზნებით ჰხატავს ცხოვრების ყოველ გვარ მოვლენას: ავს-ავად, კარგს-კარგად, ხოლო ვითარცა მტკიცე მამულიშვილი, უმეტესად სამშობლოს, მის აღდგენას უგალობს და იდეალად საყოველთაო ძმობა-სიყვარული, ხალხთა ერთობა-წარმატება დაუსახავს. მისი ლირიკა თუმცა მუდამ ქართველი ხალხის სვებედსა და ყოფა-ცხოვრებას დასტრიალებს, იმავე დროს მასში ჩაქსოვილია მსოფლიო ჰანგებიც: ეროვნულ ნიადაგზე მან შექმნა მსოფლიო პოეზია. ლექსთწყობის გარეგანი სიმშვენიერეც უმწვერვალესად განავითარა: მწიგნობრული კილო გაამარტივა, გაამდაბიურა, გაამდიდრა და შექმნა თანამედროვე სამწერლო ენა, ყველასათვის ადვილგასაგები და ადვილ სასმენი. მისი ლექსები მსუბუქი, მკვირცხლი და ნარნარია, მარგალიტის მძივივით ასხმული, მრავალფეროვანად აღკაზმული ღრმა და წმინდა გრძნობით გაჟღენთილი.

### რა დასწერა?

ლირიკულ ლექსებს გარდა დასწერა: 1, **ისტორ. პოემები** -- „თორნიკე ერისთავი“, „კიკოლა“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, 2, **დრამატ. პოემები** — „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „მედია“ 3, **ლეგენდა-ამბები** — „აღმზრდელი“ „წმ. გიორგი და ელია“, „ალექსი“, “დავითის გვირგვინი“, „გოგია მეჩანგურე“, 4, **პიესები** — „კუდურ-ხანუმ“; „კინტო“, „ახალი გმირი“, „ხანის ვეზირი“, „ბუტიაობა“, „მოძრაობა“, 5 — მოთხრობანი — „ბაში აჩუკი“, „საყმაწვილო მოთხრობანი“ და მრავალი სხ., 6, მრავალი საკამათო და საზოგადო ხასიათის წერილი, ნაკვესები და სხ გარდა ამისა რუსულიდან საუცხოვოდ გადმოაკეთა კრილოვის იგავარაკნი, სთარგმნა „ვიდრე ხვალ უფალო?“ „ლალატი“ და სხ.

### რას უმღერის აკაკი?

აკაკის ნაწარმოებთა საგანია საქართველოს წარსულ და აწმყო, ისტორიულ გმირთა სიქველე-ვაჟკაცობა და დღეინდელ ქართველთა სიბეჩავე მის თხზულებათა ხატებანია უზრუნველი მებატონე და ჩარჩი, გლეხი და ვაჭარი, ცრუ ინტელიგენტი და ქალაქის ძმა-ბიჭი, მჩაგვრელი მტარვალი და დევნილი, ქვეყნისთვის თავდადებული და იუდა-გამცემელი და სხ. მგოსანი ჰგრძნობს არსებულ უსამართლობას, ძლიერთაგან უძლურთა ჩაგვრას, უქმ მდიდართაგან მშრომელი ხალხის გაყვლეფას, მაგრამ კლასობრივ განხეთქილებას არ ამწვავებს, არამედ გვიმოძღვრებს საერთო ძალით უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებასა და ძმობა-ერთობის დამყარებას. მისი ნეტარი სურვილია მთელი ქართველი ხალხის აღორძინება საკუთარი გარკვეულ ხასიათ-მისწრაფებით. მამულიშვილური გრძნობით აღგზნებული მგოსანი მარად გვიმღერდა:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე —
არ შემიძლია მეც განა! —“

და ამავე გრძნობით აღაგზნებს ყოველ მამულიშვილს. აკაკის სწამდა, რომ სამშობლო ჩვენი

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“

და ამიტომაც სთქვა:

„გმირებს, უყივის დაეძებს
ჩემი დაფი და ნაღარაო..“

რა რიგ დამცირებულიმც იყოს სამშობლო, ყოველ მის შვილს მაინც უნდა უყვარდესო და ამიტომაც მცნებად მოგვცა:

„თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!“

ყოველმა უნდა იცოდეს თვისი ეროვნება და თავგამოდებითაც გამოესარჩლოს, ვინაიდან —

წმიდა წმიდათა არს ეროვნება,
თვით ტყვეობაშიც ხელ უსლებლი“...

ეროვნება და მამულისათვის თავის დადება წმიდა საქმეაო:

„ნეტარ არს მხოლოდ მამულიშვილი,
ვინაც მონურად მტერს არ უხრის თავს
და სამშობლოსთვის თავის დადებას
სამხიარულოდ გამოისახავს“...

აკაკის ღრმად სწამდა, რომ ჩვენის ქვეყნის მომავალი თვით ხალხის, გლეხების აღდგენა-დაწინაურებაზეა დამყარებული და ამიტომ ეუბნებოდა გლეხის შვილს:

„ჰაწაწინა იადონო და ვარდის კონაო ..
დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?
მაშ ნუ გძინავს, გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყვე მა სოფლის ცრუ გამოცანაო!“

აკაკიმ არა თუ ღრმა კვალი გაავლო მწერლობაში, არამედ შექმნა, მწერლობა და საკუთარი სკოლა. მის გავლენას ემორჩილება ახალგაზდა მგოსანთა მთელი რიგი. შექმნა ლექსთაწყობის ახალი გვარი, ეგრედწოდებული „**აკაკური**“ — ისეთი ლექსი, რომლის პირველ სტრიქონებში ორი ოთხ მარცვლოვანი მუხლია, მეორეში-კი სამ-მარცვლოვანი.—

### როგორ ახასიათებენ აკაკის ჩვენი მეცნიერ-კრიტიკოსები?

#### აკაკი — ერთობის მოციქული

**პროფ. ალ. ცაგარელი** — „აკაკიმ თავის ნაწერებში „ერთობის“ იდეალი განახორციელა და სული ჩაუდგა. იმისთვის არ იყო არც იმერეთი, არც კახეთი, არც სამცხე, — იყო მხოლოდ **ერთი საქართველო** და მგოსანი ნახევარი საუკუნე ამას თავს ევლებოდა და დასტრიალებდა, როგორც არწივი თავის

წიწილებს, და თანაც მოსთქვამდა და ზედ დამღეროდა მშვენიერი ლექსით ხან „გლოვის ზარის“ კილოზე და ხან „ძლევისა“ გალობით. „ერეკლე“ თუ „თორნიკე“, „სოლომონ დიდი“ თუ „როსტომ რაჭის ერისთავი“ და სხვა ამერ-იმერენი ყველანი იგივე ქართლოსიანნი იყვნენ, სულ ერთი ჯურის, მოდგმის და ტომის, ერთი ქართველი დედის ღვიძლი შვილნი იყვნენ იმის თვალში, სულში და გულში და სულ ერთ ქართველ ერს შეადგენდნენ“.

## აკაკი—საქართველოა

**იაკობ გოგებაშვილი**—„აკაკი ქართული პოეზიის იალბუზია.. აკაკის მაღალი ბუნება იტევს თვის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოსას, აკაკი პატარა საქართველოა... განხორციელებული მამულიშვილობაა: მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს, როგორც ტარიელს ნესტან დარეჯანი... რასაც უნდა სწერდეს, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედ გამოჭრილია გ. ორბელიანის ლექსი:

„მისი ფიქრი, მისი სიტყვა
თუ არ შენდა—არსად იყოს,
შენთან მისი დღე ბრწყინავდეს,
უშენოდ კი დაებნელოს!“

აკაკი მტერია ნელთბილი კოსმოპოლიტობისა და მაღლა აყენებს გულწრფელ და მხურვალე მამულიშვილობას ყველა მოღვაწეში... იგი მამითაც და დედითაც ნამდვილი ქართველია და თვისი გენიალური ნიჭით მჭერმეტყველურად მოწმობს ჩვენის ერის ნიჭიერებას“.

## აკაკი—მსოფლიო სევდის მომთქმელია.

**პროფ. ალ. ხახანაშვილი**—„ამ უკმაყოფილო მგოსანს, უკმაყოფილო მწერალთა მსგავსად, შესისხლხორცებული აქვს განსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა-ეპოსში იგი უცვლელად რჩება გრძნობის მოციქულად და მქადაგებლად თვით სალირიკო დარგშიაც მის ჩანგს აჟღერებს ორ გვარი სიუჟეტი. სატირა და ელეგია, ქმუნვისა და გაკილვის ხმები, ანუ, როგორც თითონ გვამცნობს „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“.. დიდებული ქართველთა მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო გოდების“ პოეზია“.

## აკაკი--უკვდავია და ქართველთა სიამაყე

**კრიტიკოსი ივ. გომართელი**—ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, შვენებასა და სიამაყეს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სამივემ ქართული პოეზიაააყვავეს და ევროპის პოეზიას აღოუყენეს გვერდით თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით, თუ ფრანგები ამაყობდენ ვიქტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით, ჩვენ შეგვიძლიან ვიამაყოთ აკაკი წერეთლით .. აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართველი ხელოვნების ჰენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია აქ მუსიკა და პოეზია ერთად არის შედუღებული... აკაკი წერეთლის პოეზია—ეს ქართველი ერის ფიქრია, ქართველი ერის გრძნობა, ქართველი ერის მისწრაფება, მისი გულის ნადები. პოეტი, რომელიც ასე სრულიად გამოჰხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ჭეშმარიტი ჰენიოსია .. აკაკი წერეთელმა უკვდავ ჰყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით უკვდავ ჰყო თავისი თავი“...

## აკაკი – ერის მესაიდუმლე და მოზარე

**კრიტიკოსი კიტა აბაშიძე**—აკაკი წერეთელი მთელი ჩვენის მცირედიც არის გონებაში ჩასხედულის ნაწილის სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის „სარკეა“, მთელის უმეტესობის სევდა-ოხვრისა და სიმღერა-გალობის მეხანგურეა და მესაიდუმლე; ბულბულია დღე-დამ განუწყვეტლად მეეფარი სატრფო-ვარდის „დაზრობის“ გამო; უნუგეშო ტარიელია, „რომელსა ცრემლი სდის შეუშრობელი“ ნესტანის ქაჯთაგან ცხრა-კლიტულში დამწყვდევის გამო. იგი „ფუტკარია ბზუილა,

მოუსვენარი, ხატის ბუზი, ზეცის მუშა", რომელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს და ვინც ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოდ იმისი მკბენარი". იგი ნახევარ საუკუნეზე მეტს მოღვაწეობაში „სანთელი" იყო, რომელიც „საიდუმლო" პარპალით ბნელს ჰფანტავს თავის ნათელით და „მყუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება ვით მსხვერპლი დიადი, რომ მადლით გაასპეტაკოს უწდომელი წყვდიადი"

## აკაკი—ლირიკოსი და პროზაიკი

**კრიტიკოსი ხომლელი**—„..ვითარცა ლირიკოსი, იმას საქართველოში ბადალი არა ყავს და თავის შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, სიძლიერით და სინაზით მას უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ივერიელი— შოთა რუსთველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდი მხატვარია ცხოვრების, ადამიანთა სულის და გულის ღრმა მცოდნე და ყველგან თვის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყველგან და ყოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალასი რეალისტია. ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს იგი უყურებს პირდაპირ, წინდაწინვე დაუმზადებელის აზრით და ხატავს ამ ფაქტს გაუზვიადებლად სწორედ ისე, როგორი ჩაბეჭდილებაც ამ ფაქტმა მოახდინა მასზე, რასაკვირველია, საკუთარი შემოქმედებითი ტალანტის განცდით. მგოსანი-მხატვარი ყოველთვის თავის სურვილებს და იდეალებს, თვისი გრძნობა გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაქტებს ხოლმე და ასე ქმნის იგი თვის ნაწარმოებს. ამასთანავე ზომიერება არსად არ ღალატობს აკაკის და ამიტომაც, იმისი ნამოქმედარი არას დროს არა ღლის ადამიანს. პირ-იქით, იწვევს სიცოცხლეს, ხალისს და სიამის მომგვრელ ნეტარებას. ამიტომაც, ქართველ მწერალთა შორის აკაკის, მიუცილებლად, უპირველესი ადგილი უჭირავს და დიდათ თავმოსაწონებელი მწერალ-მოღვაწის სახელიც აქვს გავარდნილი ქართულს, რუსულს, სომხურს, პოლონურს და საზღვარგარეთულს ლიტერატურაშიაც"...

## როგორ დააფასა მშობელმა ერმა?

1908 წ. შესრულდა 50 წელიწადი —ნახევარი საუკუნე, რაც აკაკი საზოგადო-სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა და მთელის თავისის მისწრაფებით სამშობლოს უკეთესი მერმისის მოახლოებას ემსახურებოდა. მადლიერმა სამშობლომ — მთელმა ქართველმა ერმა იმავე 1908 წ. 7 ქრისტეშობისთვეს თვის სასიქადულო მგოსანს დიდის ზეიმით გადაუხადა 50 წლის იუბილე (ჯერ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში, მერე ქუთაისში), რომელზედაც დაესწრენ მთელის საქართველოს წარმომადგენელნი შავის ზღვიდან დაღესტან-კასპიის ზღვამდე-- და კავკასიის ქედიდან—სომხეთამდე ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ხალხოსნობის განურჩევლად. მთელმა ხალხმა იგი **საერო მგოსნად** აღიარა და მისი დღესასწაული—ქართველი ერის გათვითცნობიერების დასამტკიცებლად. ამ დღიდან მცხოვან მგოსანს თვიური ჯილდო დაენიშნა წ. კ ს. საგანგებოდ შემდეგი თანხიდან.

## იცნობენ თუ არა უცხონი?

აკაკის იცნობენ ყველა მოწინავე ქვეყანაში. ამ ხუთიოდე წლის წინად პარიზშიაც იყო და იქიდან რომს მიელოდა რომის პაპი, რომელმაც საქართველოს დიდებულ მგოსანს საგანგებო პალატი განუმზადა და საზეიმოდ შეხვედრას უპირებდა, მაგრამ ზოგიერთ ქართველთა მოწყალეობით აკაკი რომს ვეღარ ეწვია.

აკაკის ნაწერები გადათარგმნილია: რუსულს (თამარ ცბიერი, თორნიკ ერისთავი, სიყვარული, პატარა კახი, თამარ მეფე, სხვა და სხვა ლექსები), გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს, სომხურს და სხვა ენებზე. რამდენიმე რჩეული ლექსი გადაღებულია ნოტებზე და გრამოფონის ფირფიტებზეც ჩაწერილი.

**მისი ნაწერები** უმეტესად ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. და ათ დიდ ტომზე მეტი შესდგება რომ გამოიცეს.

**იოსებ არიმათიელი**



აკაკი
ექიმ. ივ. სპ. ელიაშვილის ბავშვთა შორის

# აკაკის ლექსები

## ჩემი რწმენა

(ერთი უკანასკნელი და ჯერ დაუბეჭდავი ლექსთაგანი, რომელიც თვით მცხოვანმა მგოსანმა გადმოსცა ჩვენს რედაქციას)

—

რომ მოდიდდება წყალი-მდინარე
და კალაპოტში ვეღარ ეტევა,
აღელვებული, აქაფებული
კიდეებზედაც გადაენთხევა:

—

წალეკავს ნაპირს და თან წაიღებს
მოპირდაპირედ რაც დაუხვდება;
სტიქიონურის ძალმოსილობით
კლდეებს ეხლება და ქვებზე ხტება!.

—

დაქანებული სიმწრით თავდაღმა,
უსწორმასწოროდ იმღვრევა ხშირად
და გველ-ბაყაყიც თევზებთან ერთად
გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად!.,

ხალხიც ასეა: რომ აღელდება
და თავის ქერქში ვეღარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს
ვეღარც ვედრება და ვეღარც წყევა.

—

წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებ-სთვის
არ გამოდგება, უქმი ბარგია
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას
რაც წარსულიდან აღარ არგია!..

—

და როდესაც ის კალაპოტშივე
ჩადგება ბოლოს დამშვიდებული,
დაიწმინდება და იწყებს დენას
სხვა ცხოვრებისთვის გაახლებული. :

—

ასე ვფიქრობდი და ამ განძრახვას
მოვესწარ კიდეც... განხორციელდა:
აქამდე მონა ბიუროკრატის
დღეს გამოფხიზლდა ხალხი, აღელდა.



და აღარ უნდა კიდევ იკისროს
ძალმომრეობის ძველი უღელი!..
განთიადს ელის ალღო აღებით,
ნათელს მოელის, მოსწყინდა ბნელი!..

—

მოელის, მაგრამ ჯერ კი არა აქვს
მას ის ნათელი გამორკვეული
და მრუდესა და სწორს თანასწორად ებრძვის,
გაურჩევლად გზა დაბნეული!..

—

აი ეს არის ის დიდი ძალა,
რომელსაც ჰქვია რაღაც სტიქია
და რასაც ხშირად ძველი ტალახი
თან წაუღია.. წაულეკია!

—

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი.

—

მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა.
და ვით ბულბული, დაბერებული
მეც დროს უგალობ „ქებათ-ქებასა."

—

მართალი არის სისხლი იღვრება,
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ვნება.

—

თვითო-ოროლა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მაგრამ ამიტომ მის გათოხნაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?

—

მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთში და ორში!...
საქმეა მხოლოდ თვით იდეია!!

—

ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!
ერთხელ ის მღვრიაც გაიწმინდება,
როცა ცხოვრება გამარჯვებული
კალაპოტშივე წმინდად ჩადგება..

—

ასე გრძნობს გული, აღელვებული,
ხალხის მიბაძვით მოუსვენარი!
ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება კარი!..

## განთიადი

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მადლით ჰფენს
თავ-დადებულის საფლავსა.

—

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—
მდინარე ნაზას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.

—

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

—

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის პასუხსა ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.

—

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დავეჩქარეო.

—

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

—

გულში ივეთქა სიამემ,
სევდები უკუ ვყარეო—
ია და ვარდი დამჭკნარი,
ხელ ახლად გამიხარეო.

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

„ნურც მკვდარს გამწირავს,
ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეთ;
და რომ მოვკვდები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეთ:

—

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმაბარეთ,
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

## ს უ ლ ი კ ო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე .. დაკარგულიყო!..
გულ ამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“

—

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!„

—

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებათ დაჰყარა.

—

სულ-განაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო.
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

—

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

—

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

—

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

—

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!“

—

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკლავათ, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნათ შეგიყვარდათო.“

—

მენიშნა... აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
და არც ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!

—

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვუნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

—

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ,
სამკან გაქვს ბინა, სულიკო!..

# სიკვდილი*)

## 1

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არაფერი!

თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ, გული აღარ მიძგერს—და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა, მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა—ხელფეხს ველარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს—ენა არ მემორჩილება. ჰეეე, მოდი და ირიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გაეწყობა!.. ვნახოთ მაინც, კიდევ რაღა იქნება!— „სიკვდილი წერააო“, ამბობს ხალხი; „უმიზეზოთ მე არავის ვერჩიო“, უთქვამს სიკვდილს—და მართალიც არის.—ჩემი სიკვდილის მიზეზი რაღა იყო? ანთება?.. ეს ანთება რამდა გამოიწვია? აბა, დავუგდოთ ყური, საზოგა-

*) ეს მოთხრობა განსვენებულმა მგოსანმა აკაკიმ დასწერა ამ ხუთმეტიოდე წლის წინად, როცა მძიმე ავადმყოფობა გამოიარა და იმ ხანად დაბეჭდილიც იყო. **რედ.**

დოება რას ამბობს: „დაუდევარი კაცი იყო, თავის პატივი არ იცოდა, თბილად ვერ იცვამდა, ცივ ოთახში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდაო“ და სხვანი. ფიე! ვერ უყურებთ?!. ბრალს მევე მდებენ. ახირებული თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემ! ვის არ უნდა თავი მეფედ და ცოლი დედოფლათო“?!. განა მე კი მძულდა ჩემი თავი, მაგრამ საშვალება?.. „არა, ეგ ტყუილია, მაგას რა ბევრი რამ უნდოდაო“?!!—სარწმუნოთ გაიძახიან—„ჩვენთვის ეთქვა, ჩვენ მოვუხერხებდით მაგ საშვალებასაო!“ სტყუიან, თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე თვითონ არას გამოვართმევდი, და მდიდრებისთვის რო მიმემართა—გამკიცხავდენ, სირცხვილში ჩამაგდებდენ, და სირცხვილს ისევ სიკვდილი სჯობია!.. და რა აქვთ ნეტავ საბოდიშო? ან ადრე ვინ რას ესაყვედურებოდა, რომ პირაქეთ მკვდარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის ბუნება!.. თავისი თუ არ ეხარჯება რა, თავის გამორჩენას არაფერი ურჩევნია. კუდაბზიკობა ცხოვრების ერთი ნახრაკთაგანია. ეჰ, რაც იყო—იყო!.. ახლა გვიანღაა ყოლიფერი. მადლობა ღმერთს, რომ ჭირისუფლები არ დამესწრენ, თვარემ შეიქნებოდა ერთი ვაიუშველებელი, ტირილ-ყვირილი, მოთქმა, თავცემა... ყველაფერი, რასაც კი უგულო ჩვეულება მოითხოვს, და ის თქვენ მტერს, რაც მე დღე დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი. ახლა კი... მაგრამ, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით?.. ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო? ჩემს სიცოცხლეში არ უკითხავართ, ავათმყოფი არ უნახავართ, და ახლა კი თავს იტეხენ. სიკვდილს შემდეგ სინანული? სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბრძანებაა!... ყველას თავ-თავისი საკუთარი გულის საფხანი რამე აქვს და მკვდარს მიზეზათ მიღებს... მამადლის.

ზოგი მხოლოდ მიტომ მოდის, დარწმუნდეს: მართლა მოვკვდი, თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: ცოცხალი ხომ მინახავს—მოდი ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო? ზოგი მარტო ფეხის ხმას აყოლია!.. საზოგადოდ კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნელი ვალი უნდა მოვიხადოთო.

დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილა!.. ალბათ ამის მიზეზია, რომ ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტევა აღარ არის... საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ვეღარავინ ბედავს მკვდართან... თითქოს ეშინოდესთ ჩემი!.. უკუღმა სამართალი თუ გინდათ, აბა ეს არის!.. სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილისწამებით მაყრუებდენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმამაღლა... მხოლოდ ჩურჩულობენ! დიახ, ჩურჩულობენ, მაგრამ სული ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამოაპარებენ... ყოლიფერი მესმის.—„ჰეეე! ეს არის ჩვენი სიცოცხლე! მოვიდა—იცხოვრა, მოკვდა—წავიდა და გაქრაო“! სთქვა ერთმა ჭკუის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ.—„დიიიახ! ეგ არის მსოფლიო კანონიო!“—უპასუხა თავის ქნევითა და თვალების გაჭყვეტით მეორემ—და გაჩუმდენ.—„სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი ახლა ეს: ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უკუღმართათ გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო—დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყანაზეო!“ ბძანა ერთმა ბობოლამ. „მართალსა ბძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადოა, საყოველთაო სენია დღესო,“ მიუგო მეორემ—და გავიდენ მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხონოს, მაგრამ, თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ვეღარ ამოგვეღო!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზდელი, შეუპოვარი!.. ეჰ, მადლობა ღმერთს, მოვრჩით... გადავრჩითო!.. „წაილაპარაკა ერთმა.—„რას დაფიქრებულხარო?“ ეკითხება ერთი ვინმე ახალგაზდა გაქაღარებულ პუბლიცისტს.—„ამაზე ვფიქრობდიო“,—აძლევს პასუხს და ათითებს ჩემკენ,—„მაგის ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის, და უნაყოფოთ კი ჩაია-

რა მაგისმა შრომამო! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო."

— კაცო, შენ ჩემი სთქვა!... არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებიე ჩემებურათ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა, და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა. იმერულიო!.. ჩაერია მეორე.

— ეეჰ!.. ღირს კი გადასასწორებლათ? ისე არ მოიპოება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურიის სახლში მირონი! ცარიელი ღლაბუცობა და ლაზღანდარობააო!.. დაუმატა მესამემ.— „ეგ ხომ ყველა მართალია, მაგრამ მაინც უნდა პატივით დავასაფლაოთ ქვეყნის დასანახავათ!.. მე სიტყვასაც კი ვამზადებო", განაგრძო მეოთხემ.

— მეც! მეც! მეც. . გაიმეორეს სხვებმაც და გავიდენ.

— რა გშვენის ეგ შავი კაბაო! წაულაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალგაზდა ქალს. „იჰ, რა დროსიაო?" მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ცბიერათ შეხედა. —„სიყვარულმა უდროობა არ იცისო!"— უპასუხა ფრანტმა—და გაჩუმდენ.

ამგვარი რამეები ბევრი მესმის, გულზე ვსკდები, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!!. სსსუუ!.. აგერ პატარა ბავშვიც ეკითხება დედას: „დედიკო, ახლა ლექსებს ალალ დაწერს?"

— არა, შვილო!—უპასუხებს თვალცრემლიანი დედა,—ვეღარ დასწერს.

— რატომ?..

— რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალასთან წავიდა.

— იქ რას გააკეთებს?

— იქ... შეეხვეწება ფუფალას, რომ ნიკო გააბედნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შვამდგომელი იქნება, შვილო, და შენც ილოცე!.. შევედრე ღმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!..

აი აგერ ღვდლებიც მოდიან!.. პანაშვიდი უნდა იხადონ!.. გმადლობ შენ უფალო, რომ ეს ერთი ქრისტიანი მაინც გამჩენია აქ... ეტყობა, სოფლიდან არის ჩამოსული.

აი შეიმოსენ... სანთლებს არიგებენ... ანთებენ!.. „მამაო!" მიდის ერთი ახალგაზდა ღვდელთან და ეუბნება: „მამაო, მგონი, უცხო ენაზე აპირებთ პანაშვიდის გადახდას?"

— დიახ. მაშ როგორ?

— აჰ, ნუ ინებებთ მაგას!

— კი, მაგრამ აქ ბევრი მისთანებიც არიან, რომ ქართული არ იციან.

— მე მგონია, თქვენ მკვდრისათვის იხდით პანაშვიდს, და არა ცოცხლებისათვის! —აწყვეტიებს სიტყვას.

ამიგეს წესი!.. გათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს გასვენება!.. მაგრამ წამოდგა ისევ ის ახალგაზდა და ამბობს: „მოითმინეთ, ბატონებო!.. უნდა ეს ლექსი მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უკანასკნელი სურვილია გამოცხადებულიო!" ამოიღო და წაიკითხა:

## ანდერძი

ოთხი ფიცარი კუბოსთვის
უბრალო, შეუმკველათა,
და ოთხი მუშაც წამღები,
რომ გამასვენონ ხელათა.

—

არც გვირგვინები, არც სიტყვა,
არცა რა ცერემონია!..
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრჯერ გამიგონია!

—

მინდა, რომ ბაღში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..
ზაფხულმა მწვანით შემმოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!..

—

მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს,
დაქათქათებდეს ზედ მთვარე
და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,
სხივებით მოსხივ-ცისკარე.

—

დილ-დილით გაღვიძებლათ
შაშვმა მისტვინოს ზესური,
რომ მის მაღალიბან სალამურს
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

—

საღამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა",

იქვე მახლობლად ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

—

და ამდენ ნატვრის გვირგვანათ
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს,
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს!..

—

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უკმე-დღე ვხედ ვდე
მოზარდულ ქართველ თაობას!

—

იქ თამაშობდეს, ცეცქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..
თავისებურათ დამღერდეს
ძველებურ „მრავალ-ჟამიერს!..

—

ყველამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი დაიწყეს. მხოლოდ მეთაურებმა კი სთქვეს: „ახლა გვიანღა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის... უცდის — და ხომ ვერ მოვატყუებთო!“ ამას რო ყური მოვკარი, გამეცინა გუნებაში: არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვდილს შემდეგ გამიგონოს-მეთქი!.. დამავლეს ხელი და გამიტანეს.

დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერვის შევატყვე, — ისევ ქალებს, ბავშვებს და უბრალო დაბალ ხალხს უფრო ეტყობოდათ!.. უფრო მეტი სეირის ხალხი იყო!.. მე მგონია, სახრობელაზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინაც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვდებოდა. — სულ ტაატით მიმასვენებენ. — ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა!?. გაგონილა ამდენი?! სიცოცხლეში გამირბოდენ, და ახლა კი უკან მომდევენ!?. „წმიიინდააათ ღმეეერთო, წმიიინდააათ ძლიიიეროო!“ გალობს მოსწავლეთა გუნდი... ეს კი არა მწყინს!.. მშობლიური რამ ხვდება გულს!.. მაგრამ, მაინც, ნეტავ მალე გათავდებოდეს?.. უჰ, როგორც იქნა! ძლივს არ მიმასვენეს საფლავამდე! — მადლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირლია საფლავში — და მოვრჩები, მოვისვენებ!.. მაგრამ რა ბრძანებაა?!. აქაც ერთი ჭირი... უარესიც მემართება: მეხვევიან გარს, გაუკეთებიათ რაღაც მაღლობი ადგილი, დგებიან ზედ ვიღაცვიღაცები და ასაქსაქებენ ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესვენა მზეო“, „დაჩნელდა მთვარეო“, მოსწყდენ ვარსკვლავებიო“ და სხვანი. ასე გატლეკაც იქნება?!. მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვათ? სულ ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია!.. ეჰ, ახლა კი მომასწრეს და კუდაბზიკობენ! ოჰ, რა შეურაცხყოფაა ეს ათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი ალერსი!.. ამათ უნდათ, რომ მჭერმეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ. — უჰ, ძლივს არ გაათავეს!.. მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!.. ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლივს არ გადავრჩი!!.

აი, დახურეს კუბოს თავი... აჭედენ... აკაკუნებენ .. ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!.. ვნახოთ იქ რაღა იქნება. **აკაკი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ჩვენთან არს აკაკი!!

ჩვენთან არს აკაკი!.. მე არ შემიძლიან გავიმეტო თქმა იმისი, რომ **აკაკი იყო** ჩვენთან და დღეს აღარ არის. არა! იგი დღესაც ჩვენთან არს: იგი ხორციელად მოგვშორდა, ხოლო მისი ნათელი სული მუდამ თავს დასტრიალებს აკაკის დვთაებას, მის სამლოცველოს და მის ერთად-ერთს გულის სატრფოს-საქართველოს, თვისს მშობელ ერს! მისი ნათელი სული ისევე იციმციმებს საქართველოს არე-მარეზე, როგორც სულნი სხვათა დიდბუნებოვან შვილთა საქართველოსა: დავით აღმაშენებლისა, ნინო, თამარ, ქეთევანისა, შოთასი, ირაკლისა, ილიასი და სხვ.

დიდი უბედურობა დაგვატყდა თავსა, გამოგვაკლდა აკაკი, მაგრამ მაინც ვერ ვეტყვი ჩემს ტურფა ქვეყანას: „ვაი შენს დღეს, საქართველოვ!! ვაი შენ, აკაკის დამკარგავსა“!!... არა, მე პირიქით შევღაღადებ სამშობლოს: „ვაშა, ვაშა, შენ, ტურფა ქვეყანავ, სამშობლოვ ჩვენო, წარმოშობისათვის დიდებულის აკაკისა! ორმოცდათხუთმეტ წელზე მეტი თავს გევლებოდა, შემოგტრფოდა, დარაჯად გვიდგა, მტრები არ გაუხარებია შენზე. მაშ კვლავ ვაშა შენ ამისთანა ადამიანის შობისათვის!“

აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი ხალხში გამოსვლით. იგი ყოველ წლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირვარამს უქარვებდა და სწმენდდა გულიდანა.

ბევრი ტკბილი და მწარე წამები, საათები, დღეები გამიტარებია აკაკისთან ერთად ქ. გორში, რომლის ხშირი სტუმარი იყო. მაშინ ჩვეულებად ჰქონდა: უბით დაჰქონდა რვეული, ძაფზე გაბმული კარანდაში ედო შიგ. უცებ დამე სანთელს აანთებდა და რვეულში ჩასწერდა ლექსს, ან სხვა რამე გაგონილს ამბავს ხალხურსა. ერთხელ ჩემთან იყო ჩამომხტარი, იწვა ჩემს სამეცადინო ოთახში, დილით ადრე გამოვ დიოდი ოთახში სამუშაოდ ერთ დილას აკაკიმ მითხრა: აი, გიკარნახებ და ჩემს სახსოვრად ჩასწერე ეს ლექსი:

**ა რ წ ი ვ ი** *)

„გალიაში ზის არწივი,
ველარ ახერხებს ნავარდსა,
ველარც სჭვრეტს ატეხილ ქალებს,
ვერც ჰყნოსავს ია და ვარდსა.

ტანჯვით იგონებს იმ ძველ დროს,
როცა თავს აჯდა იალბუზს
და ქვემოდ მავალ ცხოველებს
ოდნავ ხედავდა ვითა ბუზს.

ცის მახლობლობით ამაყი
ძირს ეშვებოდა შურდულად,
მსხვერპლზე პირდაპირ მიმსვლელი
თვით დაიჭირეს ქურდულად...

გალიაშია მზე-ბნელი,
მარტოდ-მარტოკა ის ობლად
და იქვე ჯირკვზე მიბმული
ბაიყუში ჰყავს მეზობლად."

ამ არწივის გალიიდან გამოხსნას შეალია აკაკიმ თვისი ნიჭი და გონება, შეფრთვიხვიდა, მას ეტრფოდა, მას ლოცულობდა. ამ უკანასკნელ ხანს სულის სისწრაფით მოელოდა ამ უცნაური სისხლის ღვრის შედეგს და ისიც ილიასავით ელოდა არწივის გალიიდან გამოსვლას. აკაკიმ ამ თვისი სატრფო არწივის ბარტყები შეგინგლა, შებუმბლა, ფრთანი შეასხა მათ და აგერ-აგერ გალიეს გალია, ესწრაფიან ქვეყნის ერთად შეკრებას, აკაკის ანდერძის ასრულებას, ანდერძისა, რომელიც ყოველ მისს სიტყვაში შუქურ ვასკვლავივით გამოსჭვივის.

აკაკის ყველა დაასლოვებით მცნობსა ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მოწლვაგებულია სულსა და გულში ეს სათქმელი, მაგრამ ისე დიდი მწუხარება დაგვატყდა თავსა, რომ კრიჭა შეუკრა და კალამს სიტყვები არ ემლევა დასაწერად. მოვა დრო, ბევრი რამ ითქმის აკაკის შემოქმედებაზე, მის გენიაზე, მუდამ ხსენებაში იქნება მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე. მარად ჩვენთან იქნება, თვის სათაყვანებელ საქართველოსთან, თვის ერთან, მიჯაჭვულ ამირანთან, გალიაში მწყვდეულ არწივთან; მისი „დავი და ნადარა" მუდამ უყივლებს საქართველოს შვილებს საგმირო საქმეებისთვის.

დღეს, დიდებულო მგოსანო აკაკი, შენი მთაწმინდაც დაფიქრებულა, ახსოვს მას შენი გალობა „თავდადებულის" საფლავზე:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო"..

მთაწმინდა მიგიკრავს თვის წიაღში და მკურნალად გაუხდება შენს მძიმე სენსა. დიმიტრიც და ილიაც დაგიამებენ შრომით მოღლილს სულსა და გულს. იყავით მთაწმინდის დარაჯად თქვენი საყვარელი ქვეყნისა.

„არ მომკვდარა საქართველო," შენით სცოცხლობს იგი, ახალო რუსთველო!.

მართალია, მზე ჩაგვესვენე, მაგრამ შენი შუქი მუდამ გაგვინათებს სავალ გზასა, მუდამ ჩვენთან იქნები.

შენი შვილები, ამიტომ, მუდამ იგალობებენ:

ჩვენთან არს აკაკი!!..

ს. მგალობლიშვილი

## აკაკის გარდაცვალების გამო

**ქართულ ჟურნალ-გაზეთების** „სახალხო ფურცელის", „ახალი აზრის', „თემის", „შადრევანის , „თეატრი და ცხოვრების", „კლდის", „განათლების", „ნაკადულის" და „ჯეჯილის" რედაქციების თაოსნობით სამშაბათს, 27 იან. ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გადახდილი აქართველოს ექსარხოსის, პიტირიმს ეპისკოპოსთა ანტონის, პიროსის და სხვათა თანამწირველობით. დაესწრო დიდძალი საზოგადოება —პრესისა და საზ. დაწესებულებათა წარმომადგენელნი. პანაშვიდის დაწყებამდე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ექსარხოსმა, ჰგალობდა ფილარ. საზ. გუნდი ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

**ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ** ორშაბათის წარმოდგენის დაწყებამდე რეჟ. ალ. წუწუნავას პირით დამსწრე საზოგადოებას გამოუცხადა მგოსნის გარდაცვალება, სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცა მგოსნის ხსოვნისთვის, რაც საზოგადოებამ შეასრულა. დასმა წარმოდგენა გადასდო. გადადებულ იქმნა აგრეთვე ორი მორიგი წარმოდგენა—30 და 31 იანვრისა.

*) ეს ლექსი ამ ჟამად დაბეჭდილია, მაინც მომყავს აქა. **ს. მ.**

**დიდძალი დეპეშები მოსდის** ქართ. ჟურ. გაზ. რედაქციებსა და მგოსნის ოჯახობას საჩხერეში.

**წინამძღოლის თავ. კ. ნ. აფხაზის** თაოსნობით 26 იანვ. დეპუტატთა საკრებულოში მოწვეულ იქმნა ქა'თ. პრესისა და კულტ.-საზ. დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება აკაკის დაკრძალვის შესახებ მოსალაპარაკებლად. არჩეულ იქმნა საგანგებო კომიტეტი, 17 კაცისაგან შემდგარი თვით თავ აფხაზის თავმჯდომარეობით (მისი ამხანაგია გ. დ. ჟურული). კომიტეტის კრებები ყოველ დღე ჰხდება.

**იმერეთის წინამძღოლის თავ. დ ო. ნიჟარაძის** თაოსნობით ქუთაისში შესდგა დაკრძალვის კომიტეტი, 13 კაცისგან შემდგარი, რომელიც თბილისის კომიტეტთან შეთანხმებით იმოქმედებს.

**მგოსანს თავის ნების აღმასრულებლად** დაუნიშნავს კ. აბდუშელიშვილი. ლ. ბახტაძე, გრ. დიასამიძე, ივ ელიაშვილი, სერ. ჯაფარიძე.

**აკაკის ცხედრის შესამურავად** საჩხერეს გაიგზავნა ექიმი შესაფერი წამლებით.

**დამკრძალავმა კომიტეტმა** საუცხოვო კუბო, სანთელი და სხვა საჭირო ნივთეულობა თბილისიდან საჩხერეს გაგზავნა 27 იანვ.

**მგოსნის დაკრძალვის გამო** იმერეთის წინამძღოლმა თავ. დავ. ნიჟარაძემ ამერეთის წინამძღოლს თავ კ. ნ. აფხაზს აცნობა, იმერეთის კულტ. საზოგად. წარმომადგენელთ გადასწყვიტეს: აკაკი დაკრძალულ იქმნეს თბილისში, მთაწმინდაზე, ილიას გვერდით, კვირა დღეს. ეს გადაწყვეტილება დაადასტურა თბილისის კულტ. საზოგ. და პრესის წარმომადგენელთა კრებამ. დაკრძალვის ხარჯები იკისრეს თბილისის და ქუთაისის ბანკებმა,. ქ. შ. წ. კ. გ, საზ., თბილ. თავად-აზნ. და სხ.

**დღეს აკაკის** სულის მოსახსენებლად ქაშვეთის ეკლესიაში 12 ს. პანაშვიდია დანიშნული.

**ქართ. დრამ, საზ-ამ** პანაშვიდი გადიხადა სიონის ტაძარში.

**აკაკის უკანასკნელი პოემა „ომი“** ქუთაისში იბეჭდება ორ გამოცემად: ერთი სახალხოდ—აბაზიან წიგნად, მეორე—ძვირფას ქაღალდზე—მ-ანათად ღირებული. შემოსავალი მგოსნის სახელობის ფონდისთვის გადიდება.

**აკაკიმ გვიანდერძა**—გვირგვინებით ნუ შემიმკობთ კუბოს, ვისაც გვირგვინის სასყიდლად ფული ემეტება, ზეპირსიტყვაობის შეკრების საქმეს შესწიროსო ამიტომ, ყველამ, ვისაც ჰსურს ამ მხრით პატივი სცეს საყვარელ მგოსნის სახელს, თავისი წვლილი კომიტეტში ივ, სპ. ელიაშვილის სახელზე უნდა გაგზავნოს. როგორც შევიტყეთ, მგოსნის პატივისმცემელთ განუზრახავთ, კუბო და სამარე ვარდ-ყვავილებით შეამკონ.

**ამერ-იმერეთმა** დაადგინა მგოსნის კუბო მხოლოდ ერთი დაფნის გვირგვინით შეამკოს ზედ წარწერით. „აკაკის—საქართველოსაგან.“

**გამოიცემა** აკაკის სურათი და მოკლე ბიოგრაფია, სულ ათი ათასი ცალი, ხალხში უფასოდ დასარიგებლად.

**პეტროგრადის ყველა გაზეთში** სამძიმრის წერილებია მოთავსებული.

**ადგილობრივ სომხურ და რუსულ** გაზეთებში მრავალი წერილია აკაკის გარდაცვალების გამო.

**მგოსნის დაკრძალვამდე** ჩვენს ჟურნალში მხოლოდ მის შესახებ წერილებს ექნება ადგილი. მორიგი მასალა შემდეგისათვის გადაიდო.

**„თეატრი და ცხოვრება“—აკაკის ნომერი**—ბ. გამოვა მომავალ კვირას. მთელი ნომერი, როგორც დღევანდელი, ეძღვნის დიდებულ მგოსნის ხსოვნას.

**ქართული პრესის წარმომადგენლად**—დამკრძალავ კომიტეტში არჩეულ იქმნა ნოე ჟორდანია.

**პანაშვიდებს ყოველ დღე** სხვა და სხვა საზოგადოებანი მართავენ. მუდამ აუარებელი საზოგადოება და ხალხი ესწრებოდა.

**სიონის ტაძარში** თბილ-თავ.-აზნ., ეთნ. საზ. და სხვათა თაოსნობით გადახდილ პანაშვიდს იმოდენა ხალხი დაესწრო, რომ ტაძარში ტევა არ იყო და ქუჩებზე კაცს ძლივს გაევლებოდა. პანაშვიდს დაესწრნენ სხვა და სხვა ეროვნებათა სასულიერო და საერო წოდებათა წარმომადგენელნი.

**ცხედრის წამოსასვენებლად** კომიტეტის მიერ პრესის მხრით არჩეულ იქმნენ დამსახურებული მწერალნი ვაჟა-ფშაველა, გ. მ. ლასხიშვილი, ნ. ნიკოლაძე და ნ. ჟორდანია.

**ნ. ანაშვილის** სადღესასწავლო წარმოდგენა გადაიდო.

**სახალხო სახლში** პანაშვიდი გადაიხადეს ალაქის თვითმართველობამა და სახ. წარმ მმართ. სექციებმა.

**დეპეშები**

**ჩვენი დეპეშა აკაკის შვილს საჩხერეში:** „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მოწიწებით მუხლთ იყრის საქართველოს დიდებულ შვილის, ღვთიურ მომღერლის, ხალხის ზრახვათა შეუდარებელ გამომთქმელის, პოეზიის მარგალიტისა და სამშობლოს მშვენების, თქვენის უკვდავის მშობლის აკაკის ცხედრის წინაშე. **იოსებ იმედაშვილი**

**მივიღეთ**

**ხაშურის ქართ. დრამ** წრე ჰგლოვობს საქართველოს შვილის აკაკის დაკარგვას. თავმჯდომარე ინჟინერი **ძნელაძე**

**უკრაინელთა სახალხო დრამატიული წრე**—

Украинськый драматычный гурток пры народньому доми в тифлиси вклоняючысь перед прахом поэта грузіі кн. Акакія Церетели прыеднуе свое щыре спочуття семы покійного і всьому грузінському громадняству плач роскішна перлыно грузія ты втеряла славетнього лыцаря співця бояна свого ріднього краю пером земля над ным і довичня слава.

голова гуртка

С. Куколевскій

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# მგოსნის დაკრძალვის წესი

განსვენებული პოეტის ცხედარს შინიდან გამოასვენებენ სადგურ საჩხერეში ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის ორ საათზე

სადგურ საჩხერიდან მატარებელი ცხედარით გამოვა ხუთშაბათს, ხუთ თებერვალს, დილის 6 საათზე და მივა შორაპის სადგუზე დილის 10 საათზე (ადგილობრივი დრო).

სადგურ შორაპნიდან მატარებელი გამოვა დილის 10 საათზე და ტბილისში ჩამოვა საღამოს6 საათ.

გზა და გზა მატარებელს ჰხვდებიან წარმომადგენლები ადგილობრივ საზოგადოებათა.

ექვსი საათისათვის თბილისის სადგურზე უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც ცხედრის მიღებაში მონაწილეობას იღებს. ესენი, კომიტეტის განკარგულებით, ადგილს იჭერენ შემდეგის წესით.

1) სამღვდელოება მათი უსამღვდელოესობის მეთაურობით,

2) არა მართლმადიდებელთა სამღვდელოება.

3) განსვენებულის ნათესავები და ქალები.

4) წარმომადგენელნი წოდებათა, თავად-აზნაურობისა, ვაჭრებისა, მუშებისა და გლეხებისა.

5)ქალაქის თვითმმართველობათა წარმომადგენლები

6) ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენელნი პოეტის ვაჟა-ფშაველას მეთაურობით.

7)წერა.კითხვის საზოგადოების წარმომადგენელნი.

8) ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების წარმომადგენელნი.

9) დრამატიული და ფილარმონიულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

10) სიტყვა-კაზმული საზოგადოების წარმომადგენელნი

11) სახალხო უნივერსტეტის წარმომადგენლები.

12) ქართული კულტურის მოყვარეთა საზოგადოება და „განათლება",

13) ქართველ ქალთა საზოგადოება.

14) წარმომადგენელნი ქუთაისისა და თბილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებათა.

15) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელნი.

16) წარმომადგენელნი საქველმოქმედო საზოგადოებისა.

17) წარმომადგენელნი ესწავლებლებისა.

18) წარმომადგენელნი სხვა საზოგადოებათა;

19 წარმომადგენელნი ჰამქრებისა.

მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ პროცესია გაემართება სადგურიდან ქვაშვეთის ეკლესიამდე შემდეგის გზით: ვოკზალის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, სადოვაია. მიხეილის პროსკექტი, კიროჩნი ქუჩა, ვერის დაღმართი, ოლღას ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ქვაშვეთის ეკლესია.

წესი პროცესიისა იქნება ასეთი:

1) დროშები, ჯვრები და ხატები.

2) კუბოს სახურავი.

3) მგალობელთა გუნდი.

5) მოსწავლენი.

5) მგალობელთა გუნდი.

6) დეპუტაციები, ზემოხსენებული წესით.

7) მგალობელთა გუნდი.

8) სამღვდელოება.

9) ბალდახინი კუბოთი, რომელსაც გვერდით მისდევენ წარმომადგენელნი მწერლობისა და პრესისა ვაჟა-ფშაველას მეთაურობით.

10) ბალდახინის უკან მოდიან: გარდაცვალებულის ოჯახი, ნათესავები, წერეთლები და ქალები.

11) ცეხის წარმომადგენლები.

12) განსვენებულის ყველა პატივისმცემელი.

ქაშვეთის ეკლესიაში მოსვენებისას კუბო ჩამოაქვთ და შეაქვს ეკლესიაში შემდეგ პირთ: ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი თ-დი კ. ნ. აბხაზი, თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, და თ-დი პ. ა წერეთელი, გ. ნ ყაზბეგი, თ-დი ს. დ. წერეთელი, თ-დი ბ. დ. წერეთელი, ა. ა. მაჩაბლისა ე. რ. გაბაშვილისა, ე. მესხი, ნინო ნაკაშიძე, ა. მ. წერეთელი, განდეგილი, ნ. ი. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკოლოზ ლომოური, ნოე ჟორდანია, გ. მ. ლასხიშვილი, გ. დ. ჟურული, ბათომის ქალაქის მოურავი თ-დი ანდრონიკაშვილი, ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, კიტა აბაშიძე, შიო დედაბრიშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. დ. ლამბაშიძე, თ-დი გ. ნ. დიასამიძე, ი. ს. ელიაშვილი, ი. ს. ფანცხავა, ს. ბახტაძე, კოტე აბდუშელიშვილი, ილია ნაკაშიძე, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, ვ. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი, რის შემდეგაც კუბოსთან წესდება მორიგეობა გლეხებისა, მუშებისა და კულტურულ დაწესებულებათაგან.

**პარასკევი 6 თებერვალი**

პანაშვიდი და მორიგეობა კუბოსთან

**შაბათს 7 თებერვალი**

პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან

**კვირა 8 თებერვალი**

წირვის დასაწყისი 10 საათზე, ხოლო ანდერძის აგებისა - 12 საათზე.

ამ დორს ეკლესიაში მოვლენ დეპუტაციები. ანდერძის აგების შემდეგ ზემოხსენებული პირნი კუბოს გამოასვენებენ და დაასვენებენ სამგლოვიარო ეტლზე, რომლის შემდეგაც ზემოხსენებული წესით პროცესია გაემართება წმ. გიორგისა, ლორის-მელიქოვისა და პუშკინის ქუჩით, ერევნის მოედნით, სასახლით, გოლოვინის პროსპექტით ჭავჭავაძისა, მეჟევოი, მამადავითის ქუჩით და მამადავითის მოედნით აქედან კუბოს ხელით წაასვენებენ მამადავითის მონასტერში, სადაც ცხედრის დაკრძალვა მოხდება.

კომიტეტის ნებართვით სიტყვებს წარმოსთქვამენ მხოლოდ ერევნის მოედანზე და მამადავითის მთის ყელთან,

შესვლა ქვაშვეთის ეკლესიასა, მის გალავანსა და აგრეთვე მამადავითის ეკლესიაში იქნება მხოლოდ საგანგებო ბილეთებით. ბილეთებს დაურიგებენ კომიტეტის კანცელარიაში სადეპუტატო საკრებულოში ბელინსკის ქ., 2.

თვითეულ დეპუტაციაში სამ კაცზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთანავე მათ უნდა ჰქონდეთ საგანგებო მოწმობანი იმ საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელთაც ისინი გამოგზავნის.

ვისაც სიტყვის წარმოთქმა სურს, კომიტეტის კანცელარიაში უნდა განაცხადოს. ორატორთა ჩაწერა მხოლოდ პარასკევს,6 თებერვალს საღამოს დასრულდება.

გვირგვინებით კუბოს შემკობა აღკრძალულია თანახმად განსვენებულისა. გვირგვინების ნაცვლად, თახახმად პოეტის სურვილისა, მსურველთა ფული უნდა შესწირონ ქართულ სახალხო სიტყვიერების შესაკრებად და გამოსაცემად.

ფული უნდა გამოიგზავნოს კომიტეტის ხაზინადარ ექიმ ი. ს. ელიაშვილის სახელობაზე (თბ სათ.-აზნ. სადეპუტატო საკრებულო, ბელინსკის ქ., № 2),

კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას მოწოდებით, რათა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესრიგის დაცვას დიდებულ პოეტის წინაშე უკანასკნელ მოვალეობის აღსრულების დროს.

აკაკი წერეთლის ცხედრის გადმოტანისა და დაკრძალვის **კომიტეტი**



# აკაკი ერთი ღამე მეტეხში

(ძველ ჟურ. "ხუმარა"-დან)

1907 წლის პირველ რიცხვებში გამოვიდა პირ. იმორისტ. ჟურნ „ხუმარა" აკაკის რედაქტორ-გამომცემლობით. ჟურ. „ხუმარა" ისეთ არა სახუმარო დროს გამოვიდა, რომ პირველ ნომერზედვე მოესპო სიცოცხლე და მისი მოხუცი რედაქტორი დარაჯთა თანხლებით მეტეხისაკენ გაუყენეს. მაგრამ იმავე დღეს ბ-მა გუბერნატორმა ტიმოფეევმა შეიტყო თუ არა, ვინ ბრძანდებოდა აკაკი—ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ, ხოლო რადგან უკვე ღამე იყო. აკაკიმ თითონ არ ინება იმ დროს ციხიდან გამოსვლა და ერთი ღამე ციხეში გაათია.

Типографія „Сорапань"          სტამბა „სორაპანი"